ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახური

წერილის ნომერი:**06-14222443**
თარიღი: **01/09/2022**

**ადრესატი:**

დავით კოპინაძე
მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური-სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის**

**მერიის მუნიციპალური ქონების**

**და სერვისების მართვის სამსახურის**

**უფროსის მ/შ-ს ბატონ, დავით კოპინაძეს**

**ბატონო დავით,**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 20 ივნისის 03-142217175 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციოდ მომზადების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 04 ოქტომბრის #2695 ბრძანების შესაბამისად, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით თანახმად დანართისა გაწვდით მოთხოვნილ ინფორმაციას.

**ქ.ბათუმში. კოწია ერისთავის ქ. №14-ში (ს/კ: 05.35.28.140) მდებარე 16136,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი განაშენიანების გეგმის რუკით წამოადგენს საწარმოო ზონას (იზ-1).**

სამეწარმეო ზონა არის ინდუსტრიული ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს საწარმოო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები.

ნებადართული სახეობებია:

ა) საწარმოო ობიექტი;

ბ) ღია და დახურული საწყობი;

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.

საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს სხვა არამავნე მრეწველობის ობიექტები.

**პატივისცემით,**

მამუკა რამიშვილი

ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური-სამსახურის უფროსი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)